ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების ბალანსიდან ჩამოწერის მიზნით დროებითი საინვენტარიზაციო კომისიის სხდომის

ოქმი №1

ჩოხატაური 16 იანვარი 2024 წელი

ესწრებოდნენ:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის 2024 წლის 15 იანვრის #ბ46.46240158 ბრძანებით შექმნილი კომისიის წევრები: გია გიორგაძე; ნინო გიორგაძე; ვალერი ყაჭეიშვილი; ბექა შენგელია; ირაკლი მეგრელიშვილი; ზაზა სიხარულიძე, თენგიზ ცენტერაძე.

დღის წესრიგი:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. შუა ამაღლებაში მდენარე შენობა-ნაგებობის #3 (ს/კ - 28.05.22.212) ბალანსიდან ჩამოწერის შესახებ.

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ზოტში მდებარე შენობა-ნაგებობის (ს/კ - 28.23.21.561) ბალანსიდან ჩამოწერის შესახებ.

სხდომის თავჯდომარე: - გია გიორგაძე – მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი – კომისიის თავმჯდომარე

საკითხი №1 - მომხსენებელი კომისიის წევრი: ირაკლი მეგრელიშვილი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 15 იანვრის #ბ46.46240158 ბრძანებით შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის 2024 წლის 16 იანვრის დასკვნის თანახმად, დგინდება, შემდეგი, რომ:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ბალანსზე რიცხული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. შუა ამაღლებაში მდებარე #28.05.22.212 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მდებარე #3 შენობა (სასოფლო ამბულატორიის შენობა), აგებულია 2002-2003 წლებში. იგი წარმოადგენს ერთ სართულიან ხის შენობას. შენობა არ შეესაბამება დღეის მდგომარეობით არსებულ სამშენებლო სტანდარტებს, იგი სრულად ამორტიზებულია და გამოუყენებელია ექსპლოატაციისათვის და თავისთავად გამოუყენებელია მუნიციპალიტეტისათვის, აღარ ფუნქციონირებს თავისი შენობა ამახინჯებს მიმდებარე ტერიტორიის იერსახეს.დანიშნულებით. ასევე, აღსანიშნავია, რომ დაგეგმილია ახალი შენობის მშენებლობა ამბულატორიის ფუნქციონირების მიზნით.

2. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ბალანსზე რიცხული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ზოტში #28.23.21.561 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მდებარე #1 შენობა (ადმინისტრაციული შენობა), რომელიც წარმოადგენს ორსართულიან ქვის შენობას. იგი გამოიყენებოდა მუნიციპალიტეტის საჯარო ფუნქციების განსახორციელებლად. შენობა განადგურებულია ხანძრისაგან და გამოუსადეგარია ექსპლოატაციისათვის და თავისთავად გამოუყენებელია მუნიციპალიტეტისათვის, რაც ასევე, დადასტურებულია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2019 წლის 24 დეკემბრის საექსპერტო დასკვნით. შენობა ამახინჯებს მიმდებარე ტერიტორიის იერსახეს, გადაქცეულია ანტისანიტარიის კერად.

მხარი დაუჭირეს კომისიის დანარჩენმა წევრებმაც.

გაიმართა კენჭისყრა.

<u>კენჭისყრის შედეგი:</u> მომხრე - 7; წინააღმდეგი - არა; თავი შეიკავა - არა.

<u>დაადგინეს:</u> ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. შუა ამაღლებაში მდებარე #28.05.22.212 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მდებარე #3 შენობაზე, საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, წარმოდგენილ იქნას შესაბამისი ექსპერტის საინჟინრო დასკვნა, ხოლო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. ზოტში #28.23.21.561 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე მდებარე #1 შენობა (ადმინისტრაციული შენობა) ექვემდებარება მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსიდან ჩამოწერას და შემდგომ დემონტაჟს,

კომისიის წევრთა ხელმოწერა:

კომისიის თავმჯდომარე: გია გიორგაძე

კომისიის წევრები: თენგიზ ცენტერაძე

ნინო გიორგაძე

ვალერი ყაჭეიშვილი

ბექა შენგელია

ირაკლი მეგრელიშვილი

ზაზა სიხარულიძე